განკარგულება:**გ-47. 47232716**
თარიღი:**28/09/2023**

განკარგულება N46

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი